პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 მარტი ოთხშაბათი 1974 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 66 (15887)

5 წლის განმავლობაში წელიწადი-ნახევრიანი მარათონული მიტინგი



ზაზაფხული მოვიდა აფხაზეთის ზურმუხტისფერ პლანტაციებში. მეჩაიეები საფუძველს უყრიან ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის მოსავალს, გულმოდგინედ უვლიან პლანტაციებს, შეაქვთ მინერალური სასუქების პირველი დოზა, სხლავენ ბუჩქებს. ამ დღეებში დამკვრელურად შრომობენ ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, რომელმაც შარშან სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 1930 ტონის ნაცვლად 2.263 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული მიჰყიდა. საბჭოთა მეურნეობის მოწინავეთა შორის მოწინავეა ინდიკო ჰეჟია. მან შარშან აფხაზ მექანიზატორთა შორის გაშლილ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და მანქანა „საქართველოთი“ 68 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, რაც გეგმას 25 ტონით სჭარბობს.

სურათზე: მოწინავე მექანიზატორი ინდიკო ჰეჟია.

ი. ჰოსონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მნარმოებლობის ამაღლებისათვის რესპუბლიკის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ აზახეთის სსრ, ბელორუსიის სსრ და როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა, „სოფლტექნიკის“ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ინიციატივამ, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დიდმწარმოებლური რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესონ მუშობა კადრებთან, გაძლიერონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი და შემოწმება, დაამკვიდრონ პარტიული მიდგომა, პარტიული სტილი სამეურნეო საქმიანობის ყველა რგოლში.

ახორციელებენ რა ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მითითებებს, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ორგანოებმა ბევრი რამ გააკეთეს ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების გასაშლელად. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ყველგან იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. ამ ვალდებულებებში მთავარია შრომის ნაყოფიერების გადიდება და საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევა, დანაკარგების ლიკვიდაცია, ნედლეულისა და მასალების მომპირნეობა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ტექნიკური დონის ამაღლება. პარტკონფერენციებმა დაადასტურეს, რომ ჩვენი ამოცანაა ყოველნაირად სრულვყოთ შეჯიბრები ორგანიზაცია, მასების ამ ცოცხალი შემოქმედების ხელმძღვანელობის მეთოდები.

თანამედროვე პირობებში, როცა წყდება ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მართვის სისტემის სრულყოფის ახალი და რთული პრობლემები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კიდევ უფრო ფართო ჩაბმას სამმართველო საქმიანობაში, მათი გამოცდილების, ცოდნის, გამომგონებლობისა და ინიციატივის უფრო სრულად გამოყენებას. ეს გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის თვით ბუნებიდან, რომელსაც ახასიათებს ნამდვილი დემოკრატიზმი, მასების აქტიური მონაწილეობა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმის გადაწყვეტაში. უფრო გულმოდგინედ უნდა გავავრცელოთ ყოველივე მნიშვნელოვანი, ცხოვრებით შემოწმებული, რაც ხელს უწყობს მუშათა, კოლმეურნეთა, სპეციალისტთა საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობის ზრდას, და კვლავაც ავამაღლოთ შრომითი კოლექტივის როლი საწარმოო და აღმზრდელობითი ამოცანების განხორციელებაში.

კონფერენციათა მუშაობაში ფართოდ აისახა იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების, მაღალი შეგნებულობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის, კომუნისტური მორალის ნორმების ზუსტად დაცვის სულისკვეთებით ყველა მშრომელის აღზრდის საკითხები. განსაზღვრულია კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნათა, პარტიისა და ხალხმეურნეობის საერთაშორისო საქმიანობის გათვალისწინებით იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი.

XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა თანმიმდევრულმა განხორციელებამ საშუალება მოგვცა კიდევ უფრო განვამტკიცებინა პარტიული რიგები, აგვემაღლებინა კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი შემოქმედებითი აქტივობა და დისციპლინა, გაგვეძლიერებინა მუშობის ყველა მხარე, პირველადი ორგანიზაციების გავლენა შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე. ამას ბევრად უწყობს ხელს პარტიულ დოკუმენტების გამოცვლა, რომელიც ახლა მიმდინარეობს. კონფერენციებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კვლავაც გულმოდგინედ სრულვყოფდეთ ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობას, მბარს ვუფერდეთ და ვავითარებდეთ ყველა პარტორგანიზაციაში ამხანაგური მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს, ზუსტად ვიცავდეთ ხელმძღვანელობის ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს.

კონფერენციებზე დიდი ერთსულოვნების ვიდარებაში აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები. კიდევ უფრო გაუმჯობესდა პარტიულ კომიტეტების თვისებრივი შემადგენლობა. მათ შეემატათ ახალი ძალები. რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო და სამხარეო კომიტეტების წევრთა და წევრობის კანდიდატთა შორის ახლა მნიშვნელოვნად მეტია მუშები და კოლმეურნეები, აგრეთვე ქალები. პარტიული კომიტეტები მუშობას შეუდგნენ ახალი ენერგიით, რადგან აქვთ პრაქტიკული მოქმედების ზუსტი პროგრამა.

იმ დღეებში, როცა დამთავრდა პარტიული კონფერენციები, ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა ყამირის აოვისების — პარტიისა და ხალხის დიადი გმირობის 20 წლისთავი. ამ ზეიმმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ალმა-ათაში მკაფიოდ გააშუქეს ჩვენი ქვეყნის სივრცეებზე ყოველივე გაკეთებული სიდიადე, პარტიისა და ხალხის მორიგი ამოცანები, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პერსპექტივები.

პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დღენიადაგ განამტკიცებენ კავშირს მშრომელთა უფართოეს მასებთან, სრულყოფენ მთელ თავიანთ საქმიანობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უზრუნველყოფენ კაცობრიობის ისტორიული პროგრესის ავანგარდში მიმავალი ჩვენი დიადი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განუხრელ აღმავლობას.

ახალი მწვერვალებისაკენ

ПРАВДА
19 მარტის მოწინავე

ეიმართა მორიგი საოლქო და სამხარეო პარტიული კონფერენციები. როგორც ყოველთვის, მათ წინ უძღოდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს ორგანიზაციებში, რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციები. პარტიაში, ამრიგად, დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც დიდ ზემოქმედებას მოახდენს პარტიული ორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელი ორგანოების მუშობის მთელ მსვლელობაზე.

ახლანდელი კონფერენციების განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი მოეწყო პირველად სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, მის მიერ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. კონფერენციებმა გაანალიზეს და შეაჯამეს იმ ამოცანათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები, რომლებიც დასახეს ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომმა დადგენილებებმა, განსაზღვრეს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს მათი ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა პარტიის ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებისათვის, ქვეყნის საწარმოო ძალების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

განვლილი ანგარიშგება-არჩევნების კამპანია იყო წინსვლის დაჩქარებისათვის გაზრდილი ძალებისა და შეხვედრებების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაზე პარტორგანიზაციათა უფრო აქტიური გავლენის გზებისა და საშუალებების ჭეშმარიტად საერთო-პარტიული დათვალიერება. საკმარისია ითქვას, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობაში მონაწილეობდა მათი შემადგენლობის 93 პროცენტი და კამათში გამოვიდა 3,6 მილიონი კომუნისტი, ანუ ყველა დამსწრის 26 პროცენტი. რაიონულ, საქალაქო, საოლქო და სამხარეო კონფერენციებზე გამოვიდა 70 ათასზე მეტი კაცი, რომლებმაც გამოხატეს მილიონობით კომუნისტის საერთო აზრი. აზრთა ამ უფართოეს გაზიარებაში, მიღებულ გადაწყვეტილებებში აისახა ყოველივე ის, რითაც დღეს ცხოვრობენ პარტია და ხალხი, რითაც ისინი ხარობენ და რაც მათ აწუხებთ, მათი ერთიანი ნება და მიზნადასახული აზრები, მათი ერთიანი ნება და მძლავრი აღმშენებლობითი ენერგია.

კონფერენციებმა და კრებებმა დამაჯერებლად ცხადყვეს პარტიული რიგების მონოლითური სიმტკიცე, ჩვენი პარტიის ყველა რაზმის მჭიდრო შეკავშირება მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, კომუნისტთა 15-მილიონიანი არმიის, ყველა მშრომელის მტკიცე გადაწყვეტილება — წარმატებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეცხრე ხუთწლედის დავალებანი.

ყველგან სავსებით და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიის სანნამ და საგარეო პოლიტიკას. ყველგან საყოველთაოდ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი და მიზანდასახული საქმიანობა ჩვენი პარტიის ლენინური კურსის განუხრელი განხორციელებისათვის. კონფერენციების მონაწილეებმა გულთბილად და გულითადად აღნიშნეს, რომ ეს არის უდიდესი შთამაგონებელი ძალის ფაქტორი თვითეული პარტორგანიზაციის, თვითეული შრომითი კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრებისა და მუშობისათვის.

პარტიული კონფერენციები მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის უშუალო და უდიდესი დამრაზმველი ზემოქმედებით, გამოსვლისა, რომელშიც დახასიათებულია ახლანდელ ხუთწლედში პარტიის და ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგები, წამოყენებულია პრინციპული დებულებანი 1974 წლის გეგმის შესრულების, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზებისა და მეთოდების შესახებ. სამე ეხებოდა იმას, რომ მეურნეობრიობის მთელი სისტემა, მართვის სისტემა ავიყვანოთ ახალ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება ქვეყნის გაზრდილ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 15 მარტს ალმა-ათაში გამოსვლის დროს, — მწვავედ დაისვა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე მუშობის სტილის საკითხი. პასუხისმგებლობის ამაღლება, ინიციატივის, საქმიანი მიდგომის, სოციალისტური გერგილიანობის განვითარება, შეგნებული დისციპლინის გამომუშავება, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის ჩანერგვა — მუშობის პარტიული სტილის ამ ნიშნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი ყველანი განეკუთვნებიან საზოგადოებრივი ცხოვრების მორალურ, სულიერ სფეროს და ვერ ჩაიწერებიან გეგმაში ან სტატისტიკურ ანგარიშში. მაგრამ ჩვენ ვიცით, საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ კომუნისტური ხასიათის და კომუნისტური შეგნების ამ თვისებებს უდიდესი მატერიალური ძალა აქვს, რომ ისინი ხორცს ისხამენ ჩვენი დიადი სამშობლოს მზარდ ძლიერებასა და სიმდიდრეში, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

აი რად არის პარტიის ეკონომიური პოლიტიკა განუხრელად დაკავშირებული მის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს საქმიანობასთან, აი რად უნდა ვიბრძოდეთ ახე შეუპოვრად და თანმიმდევრულად მთელი ჩვენი მუშობის დონის ამაღლებისათვის“.

პარტიული ორგანიზაციების, მათი კომიტეტების, საწარმოების, დაწესებულებებისა და უწყებების ხელმძღვანელების საქმიანობის ანალიზისა და შეფასების, გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და უახლოესი მომავლის კონკრეტული ამოცანების დასახვის დროს კონფერენციები ხელმძღვანელობდნენ პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით. სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამ კონფერენციებზე სუფევდა ლენინური ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის სულისკვეთება, მაღალი პასუხისმგებლობის, საქმიანობისა და მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისადმი ხელმძღვანელური მისწრაფება.

ღრმა კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ყრილობის შემდგომ განვლილ სამ წელიწადში საბჭოთა ადამიანებმა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვეს კომუნისტურ მშენებლობაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოვლინდა ჩვენი საზოგადოების მძლავრი შემოქმედებითი ძალები, ფართო მასების ენერგია. ენთუზიაზმი და ინიციატივა, პარტიული ორგანიზაციების აქტიური და მრავალმხრივი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ხუთწლედის განვლილ, მესამე, დამკვრელურ წელს. ამან უზრუნველყო ახალ მიჯნებზე გასვლა, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ კიდევ უფრო წარმატებით გადავწყვიტოთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. სამრეწველო პროდუქციის მატებამ 1973 წელს შეადგინა 7,4 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 5.8 პროცენტის ნაცვლად. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი. მიღებულია 222,5 მილიონი ტონა მარცვლეული, „გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე წინათ. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი. განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. კიდევ უფრო ამაღლდა მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობა, განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. კონფერენციების მუშაობის ხერხი მთელი სიდიადით წარმოგვიდგა თვალწინ ჩვენი გმირი ხალხის ისტორიული მიღწევები, მისი უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის დიადი იდეალისადმი, შეკავშირება თავისი მებრძოლი, ნაცადი ავანგარდისა — კომუნისტთა ლენინური პარტიის გარშემო.

პარტიის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის თანმიმდევრულ და აქტიურ განხორციელებას მოჰყვა ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ამაღლება, სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცება, პოზიტიური ძვრები საერთაშორისო ვითარებაში.

პარტია, მისი ყველა ორგანიზაცია გამდიდრდნენ ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობის ახალი ძვირფასი გამოცდილებით, ისინი უფრო მეტი ენერგიით მუშაობენ ახლა იმისათვის, რომ განამტკიცონ და განავითარონ მიღწეული, დაიპყრონ კომუნისტური მშენებლობის ახალი მწვერვალები.

ქვეყანამ დაიწყო ხუთწლედის მეტად პასუხსაგები პერიოდი — ეს წელი არსებითად განსაზღვრავს, თუ რა შედეგებით დავამთავრებთ ხუთწლედს. 1974 წლის გეგმის შესრულება, რომელშიც გათვალისწინებულია უფრო მაღალი მაჩვენებლები, მოითხოვს კომუნისტთა, ხალხის ფართო მასების ძალების მნიშვნელოვან დაძაბვას, უდიდეს ენერგიასა და ინიციატივას, პარტიული ხელმძღვანელობის, წარმოების მართვის სრულყოფას.

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში მთავარი ადგილი უჭირავს ზრუნვას ეკონომიკის განუხრელი აღმავლობისათვის, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. ქვეყანაში მიმდინარე ძირეული შემობრუნება ზრდის თვისებრივი ფაქტორებისაკენ — სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისაკენ, წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ — ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ ორგანიზაციებს, სამეურნეო მშენებლობისადმი მათი ხელმძღვანელობის პრაქტიკას, პარტიული ორგანოების მუშობის სტილსა და მეთოდებს. და, ბუნებრივია, რომ ეს საკითხები იყო კონფერენციების ყურადღების ცენტრში. ეკონომიკის განვითარების, სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მხარის სრულყოფის პერსპექტივები განხილული იყო გადაუდებელ მომდინარე ამოცანებთან მჭიდრო კავშირით.

დელეგატებმა, რომლებმაც ობიექტურად შეაფასეს ხუთწლედის პირველი სამი წლის წარმატებანი, განაზოგადეს დიდი და მნიშვნელოვანი გამოცდილება, ძირითადი ყურადღება დაუთმეს რეზერვების გამოყენების გზებსა და მეთოდებს ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რადგან დღეს ეს არის უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი მიზანი. მოსკოვსა და ლენინგრადში, უკრაინასა და ბელორუსიაში, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, ვოლგოგრადის, სარატოვისა და სხვა ოლქებში და რესპუბლიკებში დიდი დაინტერესებით განიხილეს წარმოების მოცულობათა შემდგომი გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის, ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, შრომის მოწინავე მეთოდების ფართო გამოყენების, სიმძლავრეთა უსწრაფესი ათვისებისა და მთლიანად გამოყენების საფუძველზე. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაცილებით მეტია გასაკეთებელი. აღინიშნა აგრეთვე, რომ მთელი რიგი წარმოებების რეკონსტრუქცია, მოწყობილობის განახლება და მოდერნიზაცია, ავტომატიზაცია და მექანიზაცია ხორციელდება არაკომპლექსურად, რაც ამცირებს მათს შედეგიანობას.

საფუძვლიანად გააანალიზეს საქმის მდგომარეობა კაპიტალურ მშენებლობაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა უზრუნველყოთ ხუთწლედის მშენებლობათა დროული ამოქმედება, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის. ყოველმხრივ განიხილეს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი.

კონფერენციათა დელეგატებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ ჯერ კიდევ არის ბევრი საწარმო, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს და, მაშასადამე, ხელიოწმენად არღვევენ რიტმულობას, შეთანხმებულობას სხვა ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების საქმიანობაში. პარტიულ კომიტეტებსა და სამეურნეო უწყებებს წინადადება მიეცათ ყოველმხრივ გაარკვიონ მათი ჩამორჩენის მიზეზები და განახორციელონ ისეთი ღონისძიებანი, რომელთა შედეგად ეს საწარმოები გავლენს სახელმწიფო გეგმით წაყენებულ მოთხოვნათა დონეზე.

კონფერენციის დელეგატები განიხილავდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დიდ, რთულ, მაგრამ ამასთანავე შთამაგონებელ ამოცანებს და ღრმა კმაყოფილებითა და მოწონებით აღნიშნავდნენ, რომ აგრარული პოლიტიკის შედეგად, რომელიც ამ ბოლო წლებში შეიმუშავა პარტიამ და გეგმაზომიერად ხორციელდება, დიდი წარმატებანია მოპოვებული ეკონომიკის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში. იგი უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მყარ აღმავლობას, სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათის გარდაქმნას, თვით სოფლის სახის შეცვლას. ახლა საჭიროა გულმოდგინედ და მიზანდასახულად, მთელი სისრულით გამოვიყენოთ წარმოების ყოველნაირი ინტენსიფიკაციის კეთილნაყოფიერი შესაძლებლობანი, რომლებიც შექმნილია და იქმნება ახლა.

კონფერენციებმა, რომლებმაც გაითვალისწინეს თავიანთი ოლქების სპეციფიკა, შეძენილი გამოცდილება და ახალი ამოცანები, განსაზღვრეს მიწების ქიმიზაციის, მელიორაციის, აგროტექნიკურ სამუშაოთა მთელი კომპლექსის განხორციელების საფუძველზე მოსავლიანობის გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი, სავსებით დაუჭირეს მხარი პარტიის მიერ წამოყენებულ კურსს სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული კონცენტრაციისა და სპეციალიზაციისათვის, ინდუსტრიულ საფუძველზე მისი გადაყვანისათვის.

მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის სხვა დარგების განვითარების საკითხების განხილვისას გამოითქვა ბევრი მნიშვნელოვანი, ცოცხალ პრაქტიკაზე დამყარებული მოსაზრება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, დაგეგმვის გაუმჯობესების, ეკონომიური და მორალური სტიმულების გაძლიერების შესახებ. აღინიშნა ეფექტიანი მეურნეობრიობის საგულისხმო მაგალითები, შრომითი კოლექტივების საინტერესო თაოსნობანი. ამავე დროს მწვავედ გააკრიტიკეს ბევრი საწარმოს, სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელთა საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი. ყურადღება დაეთმო სერიოზულ ხარვეზებს დაგეგმვაში, საგეგმო დისციპლინის დარღვევებს, შეფერხებებს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტებს, უძრაობასა და ბიუროკრატიზმს, რასაც ზოგიერთი მუშაკი იჩენს. უნდა მოველოდეთ, რომ ყოველივე ამას ყურადღებით, მთელი პასუხისმგებლობით განიხილავენ და გაითვალისწინებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, მათი ხელმძღვანელები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და კომიტეტებმა — საწარმოების და ცენტრალური უწყებების პარტიული კომიტეტები იქნება ეს თუ რაიკომები, საოლქო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, — უნდა განახორციელონ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესონ მუშობა კადრებთან, გაძლიერონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი და შემოწმება, დაამკვიდრონ პარტიული მიდგომა, პარტიული სტილი სამეურნეო საქმიანობის ყველა რგოლში.

ახორციელებენ რა ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მითითებებს, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ორგანოებმა ბევრი რამ გააკეთეს ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების გასაშლელად. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ყველგან იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. ამ ვალდებულებებში მთავარია შრომის ნაყოფიერების გადიდება და საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევა, დანაკარგების ლიკვიდაცია, ნედლეულისა და მასალების მომპირნეობა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ტექნიკური დონის ამაღლება. პარტკონფერენციებმა დაადასტურეს, რომ ჩვენი ამოცანაა ყოველნაირად სრულვყოფდეთ ორგანიზაციულ-პარტიულ მუშობას, მბარს ვუფერდეთ და ვავითარებდეთ ყველა პარტორგანიზაციაში ამხანაგური მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს, ზუსტად ვიცავდეთ ხელმძღვანელობის ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს.

კონფერენციებზე დიდი ერთსულოვნებით ვიდარებაში აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები. კიდევ უფრო გაუმჯობესდა პარტიულ კომიტეტების თვისებრივი შემადგენლობა. მათ შეემატათ ახალი ძალები. რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო და სამხარეო კომიტეტების წევრთა და წევრობის კანდიდატთა შორის ახლა მნიშვნელოვნად მეტია მუშები და კოლმეურნეები, აგრეთვე ქალები. პარტიული კომიტეტები მუშობას შეუდგნენ ახალი ენერგიით, რადგან აქვთ პრაქტიკული მოქმედების ზუსტი პროგრამა.

იმ დღეებში, როცა დამთავრდა პარტიული კონფერენციები, ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა ყამირის აოვისების — პარტიისა და ხალხის დიადი გმირობის 20 წლისთავი. ამ ზეიმმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ალმა-ათაში მკაფიოდ გააშუქეს ჩვენი ქვეყნის სივრცეებზე ყოველივე გაკეთებული სიდიადე, პარტიისა და ხალხის მორიგი ამოცანები, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პერსპექტივები.

პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დღენიადაგ განამტკიცებენ კავშირს მშრომელთა უფართოეს მასებთან, სრულყოფენ მთელ თავიანთ საქმიანობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უზრუნველყოფენ კაცობრიობის ისტორიული პროგრესის ავანგარდში მიმავალი ჩვენი დიადი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განუხრელ აღმავლობას.

ლ. ი. ბრეჟნევის საუბარი ტ. გრატელისთან

19 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ნორვეგიის მუშათა პარტიის თავმჯდომარე, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ტრიუგვე ბრატელი.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ტ. ბრატელის შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარების, აგრეთვე ევროპის უშიშროების ინტერესებისა და საერთაშორისო ვითარების საერთო გაჯანსაღებისათვის აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ბრატელმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირსა და ნორვეგიას შორის ტრადიციული მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება ემსახურება დედამიწაზე პროგრესისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში ს. კ. რომანოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. ხამეტეიკინი;

ნორვეგიის მხრივ — ნორვეგიის კულტებისა და განათლების მინისტრი ბ. გიერდე, ნორვეგიის ელჩი სსრ კავშირში ფ. იაკობსენი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი კ. ვიბე. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

18 მარტს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ტრიუგვე ბრატელის პატივსაცემად.

სადილზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ტრიუგვე ბრატელიმ. სიტყვები მოისმინეს ყურადღებით და ტაშით შეხვდნენ.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის შეთანხმებას

18 მარტს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობის შეთანხმებას ნაოსნობის შესახებ.

საბჭოთა მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა; ნორვეგიის მთავრობის სახელით — ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ტრიუგვე ბრატელიმ. (საკდესი).

მოლაპარაკება გრძელდება

19 მარტს კრემლში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ტ. ბრატელის მოლაპარაკება.

(საკდესი).

ჩეხ

ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲗᲕᲔᲡᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲐᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ. ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲘᲡᲐᲛᲔ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲣᲚᲘᲡᲐᲛᲔ ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ

ალბები • ფაქტები

ხაკდესი და უცხოეთის პრესის საგაზეთოები იტყობინებიან

○ ვენა

ემგარგო ნავთობის მიწოდებაზე მოიხსნა

○ ვაშინგტონი

აწუხებთ სიძვირის რეკორდული ზრდა

ახალი დღე

ამერიკის შეერთებული შტატები



ამერიკელი მშრომელები განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას თავიანთი ხაარსებრ ინტერესების დასაცავად. ბალტიმორაში (მერილენდის შტატი) გამარჯვებით დამთავრდა სახელმწიფო სკოლების მასწავლებელთა გაფიცვა, რომელიც თებერვლის დასაწყისიდან გრძელდებოდა. მასწავლებელთა ხაქალაქო ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ხელისუფლება დათანხმდა დააკმაყოფილოს ცხრა ათასამდე გაფიცულის მოთხოვნა: ხელფასების მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ხურათზე: ბალტიმორელი მასწავლებლები ერთ-ერთ მანიფესტაციაზე, რომელიც მათ მოაწყეს თავიანთი უფლებების დასაცავად.

ხაკდესი

გამოხმაურება

ლენინური პოლიტიკის გამარჯვება

ХКДЕСИ პრესის ყურადღებას იპყრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ალმა-ათაში.

როგორც უნგრული „მადიარ ჰირლაპი“ წერს, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ობიექტური და მეცნიერულად დასაბუთებული შეფასება ეძლევა საბჭოთა სოფლის მეურნეობის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს, აგრეთვე პრინციპიულად მარქსისტულადაა გაანალიზებული საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური პრობლემები.

„ყამირისათვის მოგებული ბრძოლა მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შორსმჭვრეტელობას, მის უნარს გამოიმუშაოს და, ბევრი სიძნელის მიუხედავად, განსახორციელოს გეგმები, რომლებსაც ჯადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი ქვეყნისათვის, — წერს „რაბოტნიჩესკაია დელო“. — ყამირის ათვისება, რაშიც პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მოქმედების შესანიშნავი მაგალითია“.

გაზეთ „ᲨᲘᲜᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘ“ თავიდ მხრივ ყამირის ათვისებას აფასებს როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ლენინური პოლიტიკის განხორციელებას. ესსდ-ის გრანდიოზული პროგრამის შესრულება, წერს ეს გაზეთი, სოციალისტურ წყობილების უპირატესობის კიდევ ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა.

„მაგრამ საბჭოთა კავშირი არ სჯერდება მიღწეულს, — ხაზს უსვამს პრაღის „რუდე პრავო“. — სსრ კავშირში შარშანდელი მკის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მოწეული რეკორდული მოსავალი კარგი ამინდის „საჩუქარი“ კი არ არის, არამედ კანონზომიერი ფაქტია, რომელიც შესაძლებელი გახდა საბჭოთა სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონის წყალობით. საბჭოთა მიწათმოქმედნი მზად არიან განავითარონ ეს კარგი ტრადიციები. წელს გაზაფხულზე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი მოწმობენ მისწრაფების გადაჭარბონ ადრე მიღწეული შედეგებს, მოიპოვონ ახალი ხაწარმოო რეკორდები“.

ამერიკული „ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲞᲝᲡᲢᲘ“ ხაზს უსვამს, რომ ალმა-ათაში წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა „ჩამოაყალიბა ყამირი მიწების ათვისების ახალი გიგანტური გეგმა“. როგორც ფრანგული „მონდი“ აღნიშნავს, აგრარულ პოლიტიკას, რომელიც მუდამ იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში, ახლა პარტია იქითკენ წარმართავს, რომ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ხამსახურში ჩაყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები. „სოფლის მეურნეობის გადაყვანა ინდუსტრიულ ბაზაზე — ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი“, — წერს დასავლეთ ბერლინის „დერ ტაგესშპიგელი“,

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში ხაზგარგარეთის პრესის ყურადღებას იპყრობს უწინარეს ყოვლისა განცხადება, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მართლაც დიდი, უზარმაზარი მნიშვნელობის საქმე შესრულდა — მოხდა შემობრუნება „ცივი ომიდან“ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ. „სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება სსრ კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის, სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციისათვის თანმიმდევრული ბრძოლის უფაველი წარმატებაა“, — წერს ბრატისლავის „პრავდა“. ჰავანის „ხუვენტუდ რებელდე“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი „მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას ადგას თავის მებრძოლ მეგობრებთან — სოციალიზმის ქვეყნების მომძე პარტიებთან და ხალხებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით“.

ფრანგული „მონდი“ მთავარ ყურადღებას უთმობს შეფასებას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟ. პომპიდუსთან თავისი საუბრების შედეგებს. „მონდი“ ხაზს უსვამს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებას, რომ ბიჭვინთის შეხვედრამ ხელი შეუწყო ორივე ქვეყანას კიდევ მეტად დაახლოებულნათ პოზიციები მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში და ამით გაეუმჯობესებინათ საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთმოქმედების წანამძღვრები. (ხაკდესი).

გამოცდილების გასაზიარებლად

ტოკიო, 19 მარტი. (ხაკდესი). იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოწვევით დღეს ტოკიოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია.

იაპონიაში ყოფნის დროს დელეგაციის წევრები შეხვდებიან სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას, პარტიული მუშაობის გამოცდილებას გაუზიარებენ იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკებს, აგრეთვე იმოგზაურებენ ქვეყანაში.

არაგული ქვეყნების გადაწყვეტილება

ᲕᲔᲜᲐ, 19 მარტი. (ხაკდესი). აქ დამთავრებულმა ნავთობის ექსპორტიორი არაბული ქვეყნების ორგანიზაციის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მოხსნას ემბარგო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნავთობის მიწოდებაზე. ამავე დროს რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ეს ხაკითხი კვლავ უნდა განიხილონ 1 ივნისს „ამბების შესაძლო განვითარების მიხედვით“.

სირია და ლიბია გამოვიდნენ ემბარგოს გაუქმების წინააღმდეგ, ხოლო ალჟირის აზრით, მიღებულ გადაწყვეტილებას „დროებითი ხასიათი აქვს.

ემბარგო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნავთობის მიწოდებაზე არაბულმა ქვეყნებმა შემოიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერდა ისრაელის აგრესიულ კურსს.

უთანხმოებათა გაძწვავება

ᲩᲘᲙᲐᲒᲝᲨᲘ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის გამოსვლამ, რომელშიც იგი შეეხო ამერიკა-დასავლეთ ევროპის ურთიერთობებს, მწვავე გამოხმაურება გამოიწვია დასავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში.

ნიუ-იორკი. საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დავას იმდენად გაფთრებული ხასიათი აქვს, რომ საფრთხეს უქმნის ტრანსატლანტიკის ორგანიზაციის ცდებს გადაწყვეტონ დასავლეთის მთავარი პრობლემები. ამას იუწყება პარიზიდან ასოშიეიტედ პრესის საგენტო. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამას საფუძვლად უდევს, არის საფრანგეთის რწმენა, რომ შეერთებულ შტატებს სურს გაბატონდეს დასავლეთ ევროპაში.

პარიზი. პარიზის „მონდი“ ვაშინგტონის პოზიციას უწოდებს „შანტაჟს“ და ხაზს უსვამს, რომ ახლა „ფაქტიურად გამორიცხულია რ. ნიქსონის გამგზავრება ევროპაში მომავალ თვეში, რათა ხელი მოაწეროს ახალ სამხედრო შეთანხმებას ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის 25 წლისთავის დღეს“.

ლონდონი. „არის ერთსულოვანი აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის კავშირი ცუდ მდგომარეობაშია და „რემონტი“ ესაჭიროება, — წერს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. გაზეთის თქმით, ევროპის ქვეყნებთან მოლაპარაკების ამერიკული პოზიცია შეიძლება მოკლედ გამოიხატოს შემდეგნაირად: დაანშინოს გერმანელები, იზოლაციაში მოაქციოს ფრანგები და დაიჭიროს ინგლისელები; ხოლო ამასობაში, თუ ეს პოლიტიკა წარმატებით დაგვირგვინდა, ევროპის ჰოლიტიკური ერთიანობა როგორც ასეთი შეიძლება მოისპოს.

რომი. გაზეთი „უნიტა“ წერს, რომ ვაშინგტონის მუქარამ „დაძაბულობა გამოიწვია ნატოსა და ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში“. მისი ბრალდება ცხრათა კავშირის მიმართ, რომ არ სურთ ითანამშრომლონ პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში, ევროპაში მიიჩნიათ „ამერიკის შეტევის განგრძობად ევროპის თანამეგობრობის დამოუკიდებლობის ყოველგვარი ცოტად თუ ბევრად გაბედული გამოვლინების წინააღმდეგ“.

ბონი. ფედერაციულმა მთავრობამ, იუწყება დპა-ს საგენტო, ხაზი გაუსვა თავის განზრახვას არ დაუშვას კონფრონტაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის გაერთიანებას შორის. საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა განაცხადა, რომ ევროპის გაერთიანების წევრებს შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა უშიშროების დარგში ხაარსებო მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიათ ორივე მხარისათვის.

პრეამბულა

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 მარტი. (ხაკდესი). ამერიკის ხალხრომ საიგონში გაიაფა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის დევიდ შიპლერის დისკრედიტაციის კამპანია, რომელსაც ბრალად ედება ხამხრეთ ვიეტნამის „ამბების ტენდენციური გაშუქება“.

შიპლერზე მწვავე თავდასხმების ხაბამი გახდა ამას წინათ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია ხამხრეთ ვიეტნამისათვის ამერიკის დახმარების შესახებ. ფაქტიური მასალისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების ანალიზის საფუძველზე შიპლერმა გამოიტანა დასკვნა, რომ ამერიკის დახმარება საიგონისათვის ეწინააღმდეგება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმებას, რომელაც შარშან მოაწერეს ხელი პარიზში. შიპლერმა აგრეთვე აღნიშნა სტატიაში, რომ ეს დახმარება მხოლოდ ხელს უწყობს ხამხრეთ ვიეტნამის მხრივ პარიზის შეთანხმების დარღვევებს და აფერხებს ქვეყანაში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას.

ᲐᲠ ᲔᲐᲛᲐᲗ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 მარტი. (ხაკდესი). ამერიკის ხალხრომ ხაიგონში გაიაფა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის დევიდ შიპლერის დისკრედიტაციის კამპანია, რომელსაც ბრალად ედება ხამხრეთ ვიეტნამის „ამბების ტენდენციური გაშუქება“.

შიპლერზე მწვავე თავდასხმების ხაბამი გახდა ამას წინათ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია ხამხრეთ ვიეტნამისათვის ამერიკის დახმარების შესახებ. ფაქტიური მასალისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების ანალიზის საფუძველზე შიპლერმა გამოიტანა დასკვნა, რომ ამერიკის დახმარება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმებას, რომელაც შარშან მოაწერეს ხელი პარიზში. შიპლერმა აგრეთვე აღნიშნა სტატიაში, რომ ეს დახმარება მხოლოდ ხელს უწყობს ხამხრეთ ვიეტნამის მხრივ პარიზის შეთანხმების დარღვევებს და აფერხებს ქვეყანაში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

გემთმშენებელთა სიასლენი

ПРАЛА. ხუთწლედის პირველი ხამი წლის მანძილზე კომარნოს გემთსაშენში ათვისეს ახალი ტიპის გემები, 2.800 ტონა წყალწყვის მშრალი ტვირთის გემები და სხვ.

ყველაზე შთამბეჭდავი ხასლი გახდა 4 ათასი ტონა წყალწყვის დიდი სამგზავრო თბომავლები. ისინი ალეუთრვებიან მართვის ავტომატიზებული სისტემით. იფლიან არა მარტო მდინარეებში, არამედ ზღვებშიც, ამასთან გაუძლებენ ხუთ ბალამდე ხიმძლავრის ტალღებს.

ხამდინარო სამგზავრო გემგანტების ამ სერიის პირველი გემი უკვე შენდება. ეს არის სამგემბანიანი თბომავალი, რომელიც თავის კომფორტულ კაიუტებში დაიტევს 400 მგზავრს. მას მიანიჭეს სახელი „გენერალი ხვობოდა“ და საბჭოთა შემკეთებენ მომავალ წელს გადასცემენ.

30 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. ნოვა-Შუტახ დღეს ოცდაათი ათასი ვარდის ქალაქს უწოდებენ. ცენტრალური მაგისტრალი — ვარდების ხეივანი — ადრე გზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ჩაფლულია ნაირფერ ყვავილებში. 25 წლის წინათ აქ არაფერი არ იყო, გარდა ხალკ მდელოებს შორის ბორცვებზე გადაშლილი ორი სოფლისა. ახლა ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მეზობლად აშენდა ახალი სოციალისტური ქალაქი, რომლის მოსახლეობა 200 ათას კაცს აღწევს.

800 თვითშმახურების მაღაზია, ათასამდე ხაავადმყოფო, კლინიკა და ამბულატორია, 40 საშუალო და 30 პროფესიული სკოლა და ტექნიკუმი, თეატრები და კინოთეატრები, კულტურის სახლები და ბიბლიოთეკები, რამდენიმე სტადიონი და ათობით სპორტული დარბაზი — ყოველივე ეს მშრომელთა კეთილდღეობას ემსახურება.

ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲞᲝᲒᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲗᲕᲚᲑᲡ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ. ნახევარ მილიარდ არობზე მეტი შაქრის ლერწამი (ერთი არობი — 11,5 კილოგრამია) უკვე აღებულია წლეკანდელი საფრის დროს კუბაში ლერწმის ახალები კომბაინების ხაშუალებით. ეს 20 მილიონი არობით მეტია, ვიდრე ქვეყნის ამ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აღებისა და გადამუშავების მთელ წინა ხეწონში.

შაქრის ლერწმის პლანტაციებში ახლა 700-მდე კომბაინი მუშაობს განსაკუთრებით კარგი ხასელი მოიხვეჭა ხაბჭოთა და კუბელი ხპეციალისტების მიერ ერთობლივად შექმნილმა „ᲙᲣᲑᲐ-1“ მაღალმწარმოებლურმა მანქანებმა. მიმდინარე ხაფრის დროს კომბაინები აღებენ მთელი ლერწმის 20 პროცენტზე მეტს. რამდენიმე წლის შემდეგ ლერწამს აიღებენ მექანიზებული წესით.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲝᲛᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲖᲘ ᲠᲝᲓᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ზიმბაბვეს ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მოქმედების გააქტიურებამ ხამხრეთ როდეზიაში ნამდვილი პანიკა გამოიწვია. იან სმიტის რასისტულმა მთავრობამ, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თეთრკანიანი უმცირესობის მმართველობა, გამოაცხადა რეზერვისტთა არმიაში მორიგი გაწვევა 38 წლის ასაკში და ზემოთ. სმიტის ემისრები დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შეუდგნენ აგრეთვე თეთრკანიანი ჯარისკაცების დაქირავებას და ხამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დაქირავებულ ჯარისკაცთა გადმობირებას. განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებენ ხამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმთან ხამხედრო თანამშრომლობაზე.

მაგრამ როდეზიელი რასისტების ვერავითარი „დამშინებელი“ საგანგებო ღონისძიებები ვერ შეაჩერებს სულ უფრო მზარდ გამათავისუფლებელ მოძრაობას. ყოველგვარი ხამარცხვინო ცდა იარაღის ძალით დაანჩოქონ ზიმბაბვეს ხალხი, ჩასაფუშავად არის განწირული.

ხურათზე: დამსჯელთა ხამხედრო მზადება.

კამერა პრეს-საბდესის ფოტო.

წარმოება მცირდება

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 მარტი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში ზედიზედ მესამე თვეა აღინიშნება სამრეწველო წარმოების შემცირება. როგორც ფედერალურმა სარეზერვო ხისტემამ გამოაცხადა, მრეწველობის პროდუქციის გამოშვება თებერვალში 2,1 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე გასული წლის ნოემბერში.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია მრეწველობის საავტომობილო და მანქანათაშენებელი დარგები. მაგალითად, მანქანათმშენებლობის პროდუქციის მოცულობა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ხუთი პროცენტით შემცირდა.

როგორც გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერსი“ აღნიშნავს, სამრეწველო პროდუქტის გამოშვება ამერიკის შეერთებულ შტატებში იმდენად კლებულობს, რომ დაქვეითების უახლოვდება“.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ იმ მოკრივეს ჰგავს, რომელიც მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის, ამ შემთხვევაში ენერგეტიკული კრიზისის, დარტყმებისაგან ფეხზე ძლივს დგას. მაგრამ ყველაზე მძიმე დარტყმა, რომელმაც ამერიკის პოლიტიკოსები ნოკდაუნში ჩააგდო, მას მიაყენა იაპონიამ.

ამერიკის ყველაზე ერთგული პარტნიორი და მასზე დამოკიდებული ყველაზე მძლავრი ხახელმწიფო მოულოდნელად სრულიად გაემიჯნა თავის უფროს მოკავშირეს. ხელი აიღო სეინიზმისადმი მონურ ქედმოხრაზე და დაადგა ახალ, რეალისტურ კურსს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

კურსის შეცვლის მიზეზი, რა თქმა უნდა, ყველასათვის ნათელია. იაპონიის ტექნიკურად მაღალგანვითარებულ ეკონომიკას თავისი არსებობისათვის, რომ არაფერი ვთქვათ მის შემდგომ განვითარებაზე, დიდძალი ნავთობი ესაჭიროება. და აი უცაბ ცხადი გახდა, რომ იაპონიის ეკონომიური ცხოვრება დამოკიდებულია არა ამერიკის იმპერიალიზმთან ერთიანობაზე, არამედ ნავთობით გარანტირებულ მომარაგებაზე. იაპონია მიხვდა, რომ შეერთებული შტატები მთელი თავისი მილიარდებით და ავიამზიდებით უძლურია ეზრუნველყოს ტანკერების განუწყვეტელი მოძრაობა ახლო აღმოსალეთიდან იაპონიაში. იაპონიის ფინანსურმა მაგნატებმა სწრაფად შეცვალეს თავიანთი პოლიტიკა.

დასავლეთის ყველაზე განვითარებული ხახელმწიფო, რომელსაც ბევრი გამოყენებითი მეცნიერების დარგში წამყვან ქვეყნად თვლიდნენ, ანალ მთლად გაშიშვლებული წარსდგა მათ წინაშე. საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძალზე ჩამორჩენიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან დარგში — ენერგეტიკაში.

რა არის ამის მიზეზი? იგი საკმაოდ ნათელია. მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომლის განკარგულებაშია მილიარდობით დოლარი, მეცნიერთა მთელი არმია მრავალი წლის განმავლობაში უგულებელყოფდა განსვრეულ ენერგეტიკულ პოლიტიკას. იგი ილებდა ზემოგებას ნავთობის იმ წყაროებიდან, რომლებსაც, როგორც მას მიაჩნდა, ფლობდა განუყოფლად და უეჭველთ.

უფრო მეტიც, „რეგულაცია მმართველობაში“, რომელიც ეკონომ ფლობდა, ამერიკელ ბანკირებს, ნავთობ-ინდუსტრიელებს, ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს და ა. შ. რაც უფრო მეტად ხელავ (ალბელ ამერიკულ ტანკერებს, მით უფრო ფართოდ წარმოგიდგება დარგები, რომლებიც კაპიტალიზმის კრიზისში ჩათრეული აღმოჩნდნენ.

სავსებით ცხადია, რომ ეს ერთხელ კიდევ აშკარად მოწმობს კაპიტალიზმის სიორთო ღრმა კრიზისს. იგი გულდასმით შესწავლას მოითხოვს. სავსებით ცხადია, რომ დასავლეთში წარმოიშვა ახალი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა მონოპოლისტურ კაპიტალიზმსა, „მეცნიერული რევოლუციის“ გზით ეკონომიკის აყვავების ამ ნაქებ შემოქმედსა, და ენერგეტიკული სიუხვის ეფაკარ დაქვეითებას შორის. რაც გამოწვეულია მონოპოლიებ ის უუნარობით მართონ ეს პრაგეტი თუნდაც საკუთარი ინტერესებისათვის.

სავსებით შესაძლებელია, რომ ენერგეტიკული კრიზისი დიდ ცვლილებას შეიტანს ეკონომიური და პოლიტიკური ძალების თანაფარდობაში.

მაგალითად, კანადა, ბევრი ავტორიტეტის აზრით, ნავთობის მარაგის ყველაზე დიდი ფლობელია მსოფლიოში. ამ და სხვა თეტორებმა შესაძლოა ყველანა მოახდინონ მის დამოკიდებულებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

დანიონ კარტერი,
კანადელი პუბლიცისტი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲙᲣᲒᲚᲘᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

როცა დოლარი უძლურია...

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ იმ მოკრივეს ჰგავს, რომელიც მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის, ამ შემთხვევაში ენერგეტიკული კრიზისის, დარტყმებისაგან ფეხზე ძლივს დგას. მაგრამ ყველაზე მძიმე დარტყმა, რომელმაც ამერიკის პოლიტიკოსები ნოკდაუნში ჩააგდო, მას მიაყენა იაპონიამ.

ამერიკის ყველაზე ერთგული პარტნიორი და მასზე დამოკიდებული ყველაზე მძლავრი ხახელმწიფო მოულოდნელად სრულიად გაემიჯნა თავის უფროს მოკავშირეს. ხელი აიღო სეინიზმისადმი მონურ ქედმოხრაზე და დაადგა ახალ, რეალისტურ კურსს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

კურსის შეცვლის მიზეზი, რა თქმა უნდა, ყველასათვის ნათელია. იაპონიის ტექნიკურად მაღალგანვითარებულ ეკონომიკას თავისი არსებობისათვის, რომ არაფერი ვთქვათ მის შემდგომ განვითარებაზე, დიდძალი ნავთობი ესაჭიროება. და აი უცაბ ცხადი გახდა, რომ იაპონიის ეკონომიური ცხოვრება დამოკიდებულია არა ამერიკის იმპერიალიზმთან ერთიანობაზე, არამედ ნავთობით გარანტირებულ მომარაგებაზე. იაპონია მიხვდა, რომ შეერთებული შტატები მთელი თავისი მილიარდებით და ავიამზიდებით უძლურია ეზრუნველყოს ტანკერების განუწყვეტელი მოძრაობა ახლო აღმოსალეთიდან იაპონიაში. იაპონიის ფინანსურმა მაგნატებმა სწრაფად შეცვალეს თავიანთი პოლიტიკა.

დასავლეთის ყველაზე განვითარებული ხახელმწიფო, რომელსაც ბევრი გამოყენებითი მეცნიერების დარგში წამყვან ქვეყნად თვლიდნენ, ანალ მთლად გაშიშვლებული წარსდგა მათ წინაშე. საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძალზე ჩამორჩენიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან დარგში — ენერგეტიკაში.

რა არის ამის მიზეზი? იგი საკმაოდ ნათელია. მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომლის განკარგულებაშია მილიარდობით დოლარი, მეცნიერთა მთელი არმია მრავალი წლის განმავლობაში უგულებელყოფდა განსვრეულ ენერგეტიკულ პოლიტიკას. იგი ილებდა ზემოგებას ნავთობის იმ წყაროებიდან, რომლებსაც, როგორც ჩანს (ზუსტად სრულ გაკოტრებამდე) ნავთობ-საავტომობილო-საგზაო გაერთიანების მიერ. ეი ერთ-ერთი თეთქმის დაუჯერებელი, მაგრამ საკმაოდ ზუსტი ფაქტი, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად ახლა ჩანს თავს. ვაშინგტონმა საგადასახადო შემოსავლებიდან ავტოსტრადების სუბსიდიებზე ერთ წელიწადში დახარჯა 25 მილიარდი დოლარი და მხოლოდ 30 მილიონი — უყურადღებოდ მტოვებელ რკინიგზაზე მოძრაობის უზრუნველყოფისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲝᲪᲐ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲣᲫᲚᲣᲠᲘᲐ...

ᲒᲠᲝᲪ მას მიაჩნდა, ფლობდა განუყოფლად და უეჭველთ.

უფრო მეტიც, „რეგულაცია მმართველობაში“, რომელიც ეკონ ფლობდა, ამერიკელ ბანკირებს, ნავთობ-ინდუსტრიელებს, ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს და ა. შ. რაც უფრო მეტად ხელავ (ალბელ ამერიკულ ტანკერებს, მით უფრო ფართოდ წარმოგიდგება დარგები, რომლებიც კაპიტალიზმის კრიზისში ჩათრეული აღმოჩნდნენ.

სავსებით ცხადია, რომ ეს ერთხელ კიდევ აშკარად მოწმობს კაპიტალიზმის სიორთო ღრმა კრიზისს. იგი გულდასმით შესწავლას მოითხოვს. სავსებით ცხადია, რომ დასავლეთში წარმოიშვა ახალი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა მონოპოლისტურ კაპიტალიზმსა, „მეცნიერული რევოლუციის“ გზით ეკონომიკის აყვავების ამ ნაქებ შემოქმედსა, და ენერგეტიკული სიუხვის ეფაკარ დაქვეითებას შორის. რაც გამოწვეულია მონოპოლიებ ის უუნარობით მართონ ეს პრაგეტი თუნდაც საკუთარი ინტერესებისათვის.

სავსებით შესაძლებელია, რომ ენერგეტიკული კრიზისი დიდ ცვლილებას შეიტანს ეკონომიური და პოლიტიკური ძალების თანაფარდობაში.

მაგალითად, კანადა, ბევრი ავტორიტეტის აზრით, ნავთობის მარაგის ყველაზე დიდი ფლობელია მსოფლიოში. ამ და სხვა თეტორებმა შესაძლოა ყველანა მოახდინონ მის დამოკიდებულებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲕᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 19 მარტი. (ხაკდესი). დედოფლის სეფე-სიტყვა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ინგლისის ახალი ლეიბორისტული მთავრობის საპროგრამო საქმიანობა, მოიწონა ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატამ. 18 მარტს გვიან საღამოს გამართული კენჭისყრის შედეგები ,ასეთია: ხმა მისცა 294 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 7 დეპუტატმა, პარლამენტის დანარჩენი წევრები კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ.

კენჭისყრის წინ კონსერვატორებმა მოხსნეს დედოფლის სეფე-სიტყვის თავიანთი შესწორება, რომელიც გმობდა ლეიბორისტების მიერ ხელფასის ყაყინვის პოლიტიკაზე უარის თქმას.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲣᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 მარტი. (საკდესი). ხაგაზეთულო განწყობილებით როდი ეგებება ამერიკის შეერთებული შტატების მილიონობით უბრალო მცხოვრები გაზეთულის დადგომას. ამერიკელები შეშფოთებით აღნიშნავენ უმუშევრობის, ფასების ზრდას, რეალური ხელფასის შემცირებას, ხაზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც ლუის ჰარისის სამსახურმა მოაწყო, გვიჩვენებს: მოსახლეობის 68 პროცენტის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულ ეკონომიურ დაქვეითებას განიცდის, 91 პროცენტს ყველაზე უფრო აწუხებს სიძვირის რეკორდული ზრდა, 56 პროცენტი „ნომერ ერთ პრობლემას“ უწოდებს მზარდ უმუშევრობას.

რეგითი ამერიკელების ცხოვრების დონის დაქვეითების ფონზე განსაკუთრებით საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებენ მონოპოლიების რეკორდულ მოგებათა ციფრები. როგორც პროფკავშირული ყოველკვარეული იუწყება, 1973 წელს კორპორაციების მოგება წინა წელთან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა.

ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 18 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გადაწყვიტა გადადგა დასავლეთ ევროპაში გამგზავრება, რომელიც წინათ აპრილისათვის იყო დასახული. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ოფიციალურად დაადასტურა პრესკონფერენციაზე, რომ გამგზავრება გადადებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოლაპარაკებში „არადამაკმაყოფილებელ პროგრესთან“ დაკავშირებით.

„ევროპაში გამგზავრების თარიღი დამოკიდებულია ევროპელ მოკავშირეებთან კონსულტაციების პროგრესზე. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა დამატებითი მუშაობა და ამიტომ უახლოეს მომავლისათვის ვიზიტი არ არის დაგეგმილი“, — განაცხადა წარმომადგენელმა.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ:

ᲓᲐᲫᲐᲒᲣᲚᲘᲐ ᲠᲩᲔᲒᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 19 მარტი. (საკდესი). დეპეშათა საგაზეთოების ლისაბონელ კორესპონდენტთა ცნობების თანახმად, პორტუგალიაში ბრძოლა საბანაგებო წესებზე. მიმდინარეობს წვეულა არმიაში. ამბოხებაში ბარეულ ოფიცრებს ᲯᲐᲠᲘᲓᲐᲜ

80

გალაკტიონი სვეტებიან დარბაზში

დღეს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო

მოსკოვი. („კომუნისტის“ საკ. კორ. დ. მაჭავარიანი). გასული წლის შემოდგომაზე (1-4 ნოემბერს) საქართველოში პოეტური სიტყვის დიდ ზეიმად იქცა გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დღეები, რომლებშიც ქართველ მწერლებთან ერთად მონაწილეობდნენ მოძმე-მოკავშირე რესპუბლიკების მწერლობათა წარმომადგენლები, სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

ამჯერად **გალაკტიონის საიუბილეო დღეებს აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი.** გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება დღეს, 20 მარტს, მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საკავშირო მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის სამჭოს თავმჯდომარე **კონსტანტინე სიმონოვი.** მოხსენებით — „ხიტყვა გალაკტიონზე“ გამოვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **თენგიზ ბუაჩიძე.**

გალაკტიონის საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მწერალთა დელეგაცია, მოსკოველი მწერლები და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

დასასრულ გაიმართება დიდი კონცერტი ქართველი და მოსკოველი მსახიობებისა და მუსიკოს-შემსრულებელთა მონაწილეობით.

ფილმ „ვედრების“ დიდი წარმატება

ქართველი რეჟისორის თენგიზ აბულაძის მხატვრული კინოლენტი „ვედრება“ გახდა იტალიის ქალაქ სან-რემოში მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული. ფილმმა პირველი პრემია მოიპოვა და კინოხელოვნების დათვალიერების ერთ-ერთ ყველაზე სანტერესო და მნიშვნელოვან სურათად იქნა აღიარებული. ეს ქართული რეჟისორის შემოქმედების დიდი და დასმსახურებული აღიარებაა.

სურათი, რომელიც — ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მიხედვით ა. სალუქვაძის, რ. კვეხელავასა და თ. აბულაძის სცენარით დაიდგა, შექმნა კინოსტუდიამ „ქართულმა ფილმმა“. ფილმის ოპერატორია ა. ანტიპენკო, კომპოზიტორი — ნ. გაბუნია, მხატვრები — რევაზ და თენგიზ მირზაშვილები.

მთავარ როლებს ასრულებენ თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობები — ნ. ქავთარაძე, რ. კიკნაძე, ს. ბაღაშვილი, თ. არჩვაძე, ო. მედვინეთუხუცესი, რ. ჩხიკვაძე, გ. ფალავანდიშვილი, ზ. ქავთარიძე და ი. უჩანეიშვილი.

გაზაფხულის ბაღებში

ეპარაში ხეხილის ბაღები თეთრად და ვარდისფრადაა გადაპენტილი, მეხილეები ემზადებიან, რომ ხუთწლედის განმასაზღვრელი წელი უხვი მოსავლით აღნიშნონ.

წელს აპარელმა მეხილეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 6 ათასი ტონის ნაცვლად 7 ათასი ტონა კურკოვანი ხილი დაამზადონ.

 სურათზე: კოლმეურნე ზ. დიასამიძე აუვავებულ ტყემალთან.
ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პირველი შეკრება

ხურცილავა, ქოქუაშვილი და მარაიძე სსრ კავშირის ნაკრებში

დღეს სოჭში სსრ კავშირის ნაკრები ვუნდის სეზონის პირველ შეკრებაზე მიემგზავრებიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები — მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი და მანუჩარ მაჩაიძე.

ჩვენი ნაკრები (უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე ბესკოვი, მწვრთნელი ალექსი პარამონოვი) შავი ზღვის სანაპიროზე მოკლევადიან შეკრებას გამართავს.

აქვე სოჭის სტადიონზე გუნდი ორ საწვრთნელ მატჩს ჩაატარებს (ერთი მათგანი ნავარაუდევია 25 მარტისათვის მოსკოვის „სპარტაკთან“). შემდეგ საბჭოთა ნაკრები გაემგზავრება იუგოსლავიაში, სადაც 17 აპრილს ბელგრადში გამართავს ამხანაგურ შეხვედრას ქვეყნის ნაკრებთან.

გუშინ თბილისიდან უჟგოროდში გაფრინდა კიდევ ორი დინამოელი — მცველი დავით მუჯირი და ნახევარმცველი თეიმურაზ ჩხაიძე. ისინი სსრ კავშირის ჯაბუკთა ნაკრების (მწვრთნელი ევგენი ლიადინი) ღირსებას დაიცავენ 24 მარტს აქ დანიშნულ უეფა-ს ტურნირის შესარნეკ მატჩში პოლონეთის ნაკრებთან.

შვიდი წყვილი

მხოლოდ 15 გუნდი განაგრძობს ბრძოლას სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში.

სოჭში „კარატამ“ ანგარიშით 1:0 დამარცხა „ტავრია“, რომელთანაც სიმფეროპოლში წაგებული ჰქონდა 1:2. ალმა-ათელები გავიდნენ მერვედფინალში. 120 წუთს გრძელდებოდა მატჩი როსტოვში ადგილობრივ სკა-სა და ლვოვის „კარპატს“ შორის. მასპინძლებმა მოიგეს ძირითად დროში — 1:0 და ორი შეხვედრის ჯამში — გაუთანაბრდნენ მეტოქეს — 1:1. დამატებით დროში როსტოველებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და მერვედფინალის საგზური მოიპოვეს.

გუშინ გაიმართა მეთექვსმეტედფინალის კიდევ ორი მატჩი. სოჭში თამაშობდნენ მინსკის „დინამო“ და ვოროშილოვგრადის „ზარია“, ხოლო ნალჩიკში ცსკა და ნალჩიკის „სპარტაკი“. ერთნაირი ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა და არმიელებმა.

ამრიგად, გამოვლინდა მერვედფინალის შვიდივე წყვილი: მოსკოვის „სპარტაკი“ და „ტორპედო“, „არარატი“ და „ნეფტჩი“, „შახტიორიო“ და ცსკა, „ჩერნომორეცი“ და თბილისის „დინამო“, მოსკოვის „დინამო“ და „ზენიტი“, „კარატა“ და „ზარია“, ცსკა და „დნეპრი“.

მერვედფინალური მატჩები გაიმართება 6 აპრილსა და 27 მაისს.

რამდენიმე სტრიქონით

□ **რიგის** სკა-ს კალათბურთელთა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის მატჩში თავის მოედანზე დაამარცხა მინსკის რტი — 107:85, კაუნასში ადგილობრივმა „უალგირისმა“ სძლია მოსკოვის „დინამოს“ — 83:78.

□ **ცურვა.** ბაქოში დამთავრდა ზონალური შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. „განთიადის“ გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა და ფინალში იასპარეზებს მოსკოვში — 25-31 მარტს. გიგა გოდერძიშვილმა დაამყარა რესპუბლიკის ორი რეკორდი — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით — 1.03,9 და გულაღმა ცურვაში — 1.12, ლიუდმილა სუინამ კი — რესპუბლიკური რეკორდი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 4.23,1.

ლ. აბელიშვილი



გარდაიცვალა ელექტრული წვის ქართული სკოლის ფუძემდებელი, გამოჩენილი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ლევან გრიგოლის-ძე აბელიშვილი.**

ლ. აბელიშვილი დაიბადა 1909 წელს ქალაქ თბილისში. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს შეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1931 წელს დაამთავრა.

ლ. აბელიშვილის საინჟინრო საბიელზე გამოსვლა დაემთხვა ელექტრული წვის სწრაფ განვითარების პერიოდს. ტექნიკის ამ დარგს დაუკავშირა თავისი მოღვაწეობა ლ. აბელიშვილმა.

პირველი საქმიანობა ლ. აბელიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო. მუშაობდა უფროს ტექნიკოსად ამიერკავკასიის რკინიგზაზე, ინჟინრად ამავე გზის საგეგმო განყოფილებაში, შემდეგ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საელექტრომავლო საამქროს და ისევ ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის განყოფილებაში.

დიდი დამსახურება მიუძღვის ლ. აბელიშვილს საქართველოში ელექტრული წვის საინჟინრო კადრების მომზადების ორგანიზაციის საქმეში. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა ინსტიტუტის დამთავრების დროიდან იწყება. იგი მუშაობდა მასწავლებლად ამიერკავკასიის რკინიგზის ტექნიკუმში. ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

1953 წელს მისი თაოსნობით თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში შეიქმნა ელექტრული ტრანსპორტის კათედრა, რომელსაც დაარსებიდან ხელმძღვანელობდა ლ. აბელიშვილი. ამ პერიოდში ლ. აბელიშვილი ამ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ძოღვაწეობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირში ელექტრული წვის თეორიის განვითარებისა და ელექტროფიცირებული რკინიგზების შექმნის საქმეში. ლ. აბელიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ელექტრული წვისა და „ტრანსპოოტო ენერგეტიკის სამეცნიერო პრობლემების დამუშავებაში.

ლ. აბელიშვილის შრომები საყოველთაოდ აღიარებულია. ისინი სათანადო ასახვას პოულობენ ელექტრული წვის ლიტერატურაში და ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ლ. აბელიშვილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის შექმნასა და განვითარებაში. როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების წევრი, იგი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენს რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გადაწყვეტაში. იგი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მრავალ წლის მანძილზე დიდ მუშაობას ეწეოდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნისა და დახვეწისათვის.

ლ. აბელიშვილის დაწერილი ღირსეულად დაფასა პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და მედლებით.

გამოჩენილი მეცნიერის, შეესანიშნავი პიროვნებისა და ინჟინრის, მზრუნველი პედაგოგის ლევან აბელიშვილის სახე მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოღვაწეობითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო; ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა ხაქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლევან გრიგოლის-ძე აბელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლევან გრიგოლის-ძე აბელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავაშრიალოთ ტყეები თბილისისა და რუსთავის გარშემო

თბილისისა და რუსთავის ზრდასთან ერთად ამ ქალაქების მდებარეობის, კლიმატის, მოსახლეობის მატებისა და, ბოლოს, შიდაწვისძრავიანი ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის გამო ადამიანისათვის საჭიროა მეტი ჰაერი, ჟანგბადი. სამწუხაროდ, ჰაერი ჭუჭყიანდება ავტომანქანათა გამონაბოლქვით, ქარხნის ბოლითა და ჭვარტლით.

ჟანგბადის წყაროა მცენარე, ტყე, მდელო. უნდა ვამრავლოთ ისინი. სწორედ ამ მიზანს ისახავს კრწანისის ტყეპარკი, რომელიც თბილისსა და რუსთავს შორის მდებარეობს და რომლის განკარგულებაშია 600 ჰექტარამდე მიწა. მარტო ბუნებრივ ტყეს 50 ჰექტარი უკავია.

ტყეპარკი ჯერ კიდევ 1967 წელს შეიქმნა, მაგრამ ჯერჯერობით მისი გაშენების და განსაკუთრებით სამელიორაციო ნაგებობათა მშენებლობის საქმე ჩამორჩება. ტყეპარკი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ როგორც თბილისის, ისე რუსთავის მშრომელებს თავისუფალ და დასვენების დღეებში შეეძლოთ დატკბნენ იქაური სიმშვენიერით, დაისვენონ კულტურულად, გაიკაჟონ სხეული.

უკანასკნელ წლებში კრწანისის ტყეპარკში მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს 70 ჰექტარზე დაირგო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, 50 ჰექტარი ბუნებრივი ტყე ეკალ-ბარდებისაგან გაიწმინდა და ხალხის სამსახურში ჩადგა. ახლა აქ შეიძლება კულტურულად დაისვენონ თბილისისა და რუსთავის მშრომელებმა.

კრწანისის მიდამოები ისეთია, რომ იქ ძნელად ხარობს მცენარეულობა და ბუნების მეგობრებს—თბილისის 144-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ჩოჩუა) მოსწავლეებს, ტყეპარკის მუშაკებს (დირექტორი შ. მეფარიძე) დიდი მუშაობა უხდებათ ნიადაგის სიჯიუტის დასაძლევად, თავს დასტრიალებენ ახალდარგულ მცენარეებს და არ აკლებენ მზრუნველ ხელს.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტები გაატარა და ატარებს კრწანისის ტყეპარკის ძირფესვიანად გაუჯობესებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის ხელშეწყობი პირობების შესაქმნელად.

მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად კრწანისის ტყეპარკის გაშენების საქმეში ვხვდებით სახელმწიფო თანხის უყაირათო ხარჯვასა და დანაშაულებრივ მოქმედებას. მაგალითად, ექვსი წლის წინათ ტყეპარკის ერთ-ერთ უბანში დარგეს 500 ძირი შავი ფიჭვი, ელდარის ფიჭვი, კიპარისები, კედრი, ტუია და სხვა ჯიშის მცენარეები. მათს მოვლასა და გახარებაზე ბევრი შრომა და ათასობით მანეთი სახელმწიფო თანხა დახარჯეს. შედეგი? მცენარე ვერ შეეგუა ადგილობრივ ნიადაგს და თითქმის ყველა ხე გახმა.

ტყეპარკის ახალმა ხელმძღვანელობამ ეს საკითხი უყურადღებოდ როდი დატოვა. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დახმარებით და რჩევით, ვიდრე სამელიორაციო სამუშაოთა პროექტი იქნება განხორციელებული, შერჩეულ იქნა ხეების ისეთი ჯიშები, რომლებიც ეგუება ნიადაგის ადგილობრივ პირობებს.

როგორც წესი, ტყე-პარკში ადამიანი იმატებ მიდის, რომ დაისვენოს, გაერთოს და გაიკაჟოს ორგანიზმი. კრწანისის ტყეპარკის დანიშნულებაც ეს არის. სამწუხაროდ, ამ პარკის ზოგიერთ ადგილებში ყოველივე ამას ადამიანი მოკლებულია. პირიქით, ალაგ-ალაგ პარკი ისეა გაჭუჭყიანებული და სავსე დამპალი ნარჩენებით, რომ ადამიანი შეიძლება გაჯანსაღების ნაცვლად ავად გახდეს.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ კრწანისის ტყეპარკის მიდამოებში განლაგებული საწარმოები არ ზრუნავენ წარმოების ნარჩენებისაგან გაწმენდონ კუთვნილი ტერიტორია.

მაგალითად, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის (დირექტორი ტ. თოქაჩიშვილი, მთავარი ინჟინერი ჯ. თოდუა) კრწანისის ტყეპარკის ტერიტორიაზე განლაგებულ ნაგებობებს უკავია 3,4 ჰექტარი ფართობი. მარტო ამ წარმოებაში ყოველდღე ირეცხება 261 ავტომანქანა და 100 მისაბმელი. ავტოსატრანსპორტო კანტორას კანალიზაცია არა აქვს. ამიტომ ჭუჭყიანი და გაბინძურებული წყალი ტყეპარკის მთავარ არხში გადის, აქვე ამ არხს უერთდება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოებიდან ჩარეცხილი გაჭუჭყიანებული წყალიც. არხს გასასვლელი არ აქვს და ამიტომ დაახლოებით კილომეტრნახევრიან ტყის ზონაში გაჭუჭყიანებული წყალი წყლობით დგას, ლპება და მცენარეებს აფუჭებს.

ჯერ კიდევ 8 წლის წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით აიკრძალა თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის მდებარე ზონაში, რომელიც განკუთვნილია გამწვანებისათვის, რაიმე ნაგებობის აგება, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე არსებული ობიექტების შემდგომი გაფართოება-რეკონსტრუქცია. ეს დადგენილება დაივიწყა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და მე-6 ავტოსატრანსპორტო კანტორამ. ამ საწარმოს ადრე დაკავებული ჰქონდა 3,4 ჰექტარი ფართობი, შემდეგ თვითნებურად ტყეპარკის ტერიტორიაში შეიჭრა და დამატებით დაიკავა 0,5 ჰექტარი მიწა. ამ ფართობზე კი ყრიდნენ ჩამოწერილ ჯართს და ქიმიურ-მექანიკურ ნარჩენებს.

ამ დღეებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო სათანადო ზომები. ნაკვეთი ნაგებისაგან გაწმენდეს და თვითნებურად დაწყობილი ნაგებობის გაშენება შეაჩერეს. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ გარკვეული ფართობი ჯერ კიდევ ტყეპარკისათვის არ გადაუცია და მიწა ცდება, არ ხდება მისი გამწვანება.

შემოწმების დღეს კრწანისის ტყეპარკის გაგრძელებაზე, ქალაქ რუსთავის სამხრეთ მხარეს ალაგ-ალაგ ენახეთ ცეცხლი და კვამლით დაფარული ტყე. იწვოდა მცენარეები. შეეხვდით ასეთ ფაქტსაც: ვინმე მძღოლმა თვითსაცლელი მანქანით (გაზ-51-67-45) ნაგავი დაყარა და გაიქცა.

ეს ადგილები გაჩაინახ საბჭოთა მეურნეობას და სხვა სახელმწიფო წარმოებებს ეკუთვნის. ამ ბუნებრივი სიმდიდრის დაცვას არ აქცევენ ყურადღებას. წლობით დაყრილი ნაგვისაგან იქმნება ანტისანიტარია, — გვიამბო კრწანისის ტყეპარკის დირექტორმა. განა ამას ჰქვია ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა?

საინტერესოა, ყველაფერი ეს ხდება თბილისის გარძელებაზე, გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე, ზოგიერთი ბოროტი ადამიანის ხელით უმოწყალოდ იძარცვება ჩვენი ლამაზი ბუნება, რაც კატასტროფის წინაშე აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობას. ეს დანაშაულია.

ვინც აოხრებს და აპარტახებს ჩვენს წარმტაც ბუნებას, ვინც თვალისჩინივით არ უფრთხილდება ტყეებს, ანადგურებს და უმოწყალოდ ჭრის მცენარეს, ისინი სწორედ იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც თვითონ სხედან.

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ბუნების მტრები

ხეები ზეზეურად კვდებიან

უჩვეულო „ვემოსავალი“

პატარძალს ქინძისთავი გადაეყლაპა...

□

ჟოლექციონერობა კაცს ოდითგან ეოხდებამს. და მართლაც, განა ექსპონატი არ არის, პირველყოფილი კოლექციონერისათვის მამონტის ეშვები ან. კბილები, ნეანდერტალელის ხელით გამოჩორკნილი ავგაროზი ან ისრის ბუნიკი?

მერე კი ადამიანებმა სხვადასხვა საგნების შეგროვება დაიწყეს და დროთა განმავლობაში ამ გატაცებას ჰობი დაერქვა.

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ისეთი უჩვეულო საგნებით, როგორიც ქუთაისელმა ექიმებმა შეაგროვეს, ბევრი კოლექციონერი ვერ დაიტრაბახებს. ქუთაისელი ექიმების ექსპონატები სწორედ თავისი მიზეზერებით არის უნიკალური და იმითაა უჩვეულო, რომ ყოველი მათგანი საყლაპავ მილში ბრონქებში, ფილტვებში ქონიათ სხვადასხვა მოქალაქეებს — დასაავლეთ საქართველოს მცხოვრებთ.

რას არ ნახავთ ქუთაისის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ყელ-ყურის განყოფილების სტენდებზე გამოფენილ ექსპონატებს შორის — ლობიო, სიმინდი, მზესუმზირა, კაკალი, თევზის ფხები, ქათმის ძვლები, საყურეები, ბეჭდები, ინგლისური ქინძისთავები, საკერავი და სამედიცინო ნემსები, ხუთდა ფული — ორ, სამ, ხუთკაპიკიანები, მანეთიანები, პატარა სათამაშოები, კომკავშირული სამკერდე ნიშანი, ზვიდსანტიმეტრიანი სპილენძის მავთული, ვერცხლის ჯვარი, ხუთი კბილის პროთეზი. ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია აქაური ექსპონატებისა. ყოველ მათგანს თავისი ისტორია აქვს.

ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე გაუტარებიათ აქ განყოფილების გამგეს რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ა. გაბუნიას, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულს ს. ტურაბელიძეს, ექიმს რ. ძიძიგურს, მედდებს ნ. მუშკუდიანს, ნ. კიკვიძეს, ლ. ტყაბლაძეს, ა. ძიგრაშვილს, ჯ. რუსაძეს. ამიტომაა, რომ ასე ზედმიწევნით იციან თვითეული შემთხვევის წვრილმანები.

...პატარძალი ნეფესთან გასასვლელად ემზადებოდა და სარკესთან კოხტაობდა. რაღაც არ მოსწონდა და უნდოდა სხვანაირად მიებნია ქინძისთავი საქორწინო ღიჩაქზე. მომუწული ტუჩებით დაიჭირა და კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში, სად აჯობებს მიებნიოო. ამ დროს ოთახში სიცილ-კისკისით შემოცვივდნენ მაყრები. პატარძალმა ის იყო სთქმელად გააღო პირი, რომ ქინძისთავი გადასცდა. ასე აღმოუჩნდა ეს წვეტიანი საგანი მარჯვენა ბრონქში.

ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთში დედამ ცხრა წლის გია კობახიძეს ლობიოს მანეთიანი მისცა და გაზის ბალონზე გაგზავნა. გზაში ბიჭანა ფულს ჯიბეში აგდებდა, მერე კი პირით იჭერდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგი ასროლის შემდეგ ბავშვმა ფული ვერ დაიჭირა და სასუნქში გადასცდა. ორ კვირას ჰქონდა ორგანიზმში ხუთკაპიკიანი უშეფელ ბადრი ჩინიანს. ახლა ეს ხუთკაპიკიანიც მუზეუმის „ფონდებში“ შევიდა.

ზესტაფონის რაიონის მცხოვრები გ. ახრახაძე ტელესარეცხი ხაზზე მორგებოდა. იფიქრა ცოტა ხნით თავს მივდები, და... ჩათვლიმა. მაგრამ სულ მალე გამოფხიზა: სული ეხუთებოდა. ალბათ, გუდმა თუ მიღალატაო, გაიფიქრა, და საშვილად ხალს მოუხმო. იგი ზესტაფონის საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ვერც იქ შეველეს ვერაფერი. საღამალამთა კაცი მთლად გალურჯდა და ექიმებს თვალსა და ხელს შუა ეცლებოდათ. უცერ ცოლი დაიხარა და ჩუმად ჩასჩურჩულა, კბილები რა უყავი, შენი პროთეზი რა იქნაო? დაუდევარ მორიგეს ძილში ხელოვნური კბილები ჩაეყლაპა და ბრონქში აღმოაჩნდა. და ახლა, ქუთაისელი ექიმების ჩარევის წყალობით ეს პროთეზიც ექსპონატად იქცა.

ყოველი ექსპონატი თავისებურად საინტერესოა. ისინი ჩვენს გაოცებას იწვევენ. ექიმებისათვის კი ახლა ეს პრობლემა როდია, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ეხება ლითონის საგნებს. — ჩვენ რენტგენთან ვმუშაობთ ყველაზე სრულყოფილი ხელსაწყოებით. ეგრეთ წოდებული ბრონქოზოფოგოსკოპებით. ყველაზე მეტად მაშინ გვიჭირს, ამბობს სერგო ტურაბელიძე, როცა ლობიოს, სიმინდის მარცვლების ძებნა გვიხდება. ჩვენში ეს იშვიათი შემთხვევა როდია, ლენინგრადში კი, სადაც დიდხანს მომიხდა მუშაობა, მსგავსი პრეცენდენტი არ მინახავს. ეს უცხო სხეულები განსაკუთრებით იმითაა საშიში, რომ ორგანიზმში მოხვედრიდან რამდენიმე საათის შემდეგ იწყებენ ზრდას. ორჯერ, სამჯერ მატულობენ და ქსოვილებს აწვებიან. ექიმის პრაქტიკაში იყო ისეთი შემთხვევაც, როცა პაციენტის ორგანიზმში მოხვედრილმა ლობიოს მარცვალმა გაღივება დაიწყო.

და მაინც, ეს ექსპონატები განყოფილებაში ისე ბევრია, რომ მათ ახლა უბრალო ყუთმა აწყობენ ხოლმე. ასეთივე ბედი ეწია ხურდა ფულსაც, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ყუთაბაში ყრიან.

დროა, ჩვენი „შემოსავალი“ დავითვალოთო, ხუმრობენ ექიმები. უკვე გვარიანი თანხა დაგროვდა, ფულს კი, მოგეხსენებათ, თვალა უყვარს.

კიდევ ერთი საინტერესო კოლექციის შეგროვება შეუძლიათ ქუთაისელ ექიმებს — იმ ადამიანთაგან მოხული სამადლობელი წერილების კოლექციისა, რომლებიც მათ დაღუბვას გადაარჩინეს.

ლ. გაგუა,
საქინფორმის კორ.

ამინდი

დღეს, 20 მარტს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 14-18, მთაში 8-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მცირე წვიმა იქნება, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 13-18, მთაში 3-8 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, უმნიშვნელო წვიმა, ტემპერატურა 16-18 გრადუსი სითბო.

ტელევიზია

20 მარტი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „კოცონ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „გრანობების აღზრდა“ (ნაწილი — I), 17.05 — კინონარკვევი, 17.25 — მოსწავლეთათვის „შიო მღვიმელი“, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის „ჩვენი კონკურსი“, 19.05 — რეკლამა, 19.20 — დიუტატი და ცხოვრება, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00—ფერადი ტელევიზია. ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. მეოთხედფინალი: ცსკა (გუნდარეთი) — „ბავარია“ (გერ) (გადმოცემა გუნდარეთიდან), 21.45 — „კანონი და კანონიერება“, 20.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“, 23.45 — ამალი ამბები, 24.00 — საერთაშორისო შეჯიბრება ძალოსნობაში „შეგობრობის პრიზზე“ (გადმოცემა ერევნიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად. ლექციები ტექნიკურ მექანიკაში, 19.05 — მასალათა გამძლეობაში, 20.05 — განცხადებები, 21.10 — „კინოფიშა“, 20.40 — მხატვრული ფილმი „წინაადმდეგ ყოველივესი“.

რადიო

21 მარტი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ხოლმინოვი. ნაწყვეტები ოპერიდან „ოპტიმისტური ტრაგედია“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „შესრულების შემოწმება“. 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — „ჭარავს რ. გორელაშვილი, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — სიმღერები გ. ოტსის შესრულებით, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ა. მაჭავარიანი. ნაწყვეტები ორატორიიდან „ჩემი სამშობლოს დღე“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა. 13.30— გაზეთ „პრავდის“ მოწონავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. ბალანჩივაძე ფორტეპიანოზე ბალეტიდან „მთების გული“, 17.35 — მოსწავლეთათვის „პატარა ელეონორა და დიდი პრეზიდენტი“. 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — დები პინაციების კონცერტი, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი“, 19.20 — დ. ჩხეიძე. საკონცერტო ფანტაზია ალტისა და ფორტეპიანოსათვის, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — მღერის ტ. სკიპა. 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „ნათია“. დოკუმენტური მოთხრობა, 21.40 — შ. მშველიძე. სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, 22.30 — უკანასკნელი ც